PDF Eraser Free



*დანართი №2*

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| **თავმჯდომარე:** ზაირა ბერიძე |
| **წევრი:** ნანა შათირიშვილი |

*თბილისი 2020*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 15/06/2020 N470432 ბრძანების საფუძველზე, მ/წ 7 ივლის, სსიპ კოლეჯს „თეთნულდი“, მისამართზე ქ. მესტია, ე.ფარჯიანის ქ. N25, ეწვია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დაწყებამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა და შეიმუშავა დღის წესრიგი.

დღის წესრიგის შესაბამისად, შედგა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსის დოკუმენტაციის შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან; სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან; საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმება და გასაუბრება ბიბლიოთეკართან; განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე. ექსპერტებმა განიხილეს წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები. რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა თან ერთვის დასკვნის პროექტს. ვიზიტის დასასრულს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან გარემოში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

**IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:**

PDF Eraser Free

-

**V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

***2019 წლის 22,23,24 ივლისს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:***

ქვესტანდარტი 1.1

- რეკომენდირებულია პროგრამებს ჰყავდეს პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც ჩაერთვებიან პროგრამების შემუშავებაში/ადაპტირებაში;
- სასურველია დაწესებულებამ გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები სხვა პროფესიულ მასწავლებლებთანაც, რომ არ დადგეს საფრთხის ქვეშ პროგრამებისმდგრადობის საკითხი (წარმოდგენილი პროგრამების პროფესიული და დარგობრივი მოდულების განმახორციელებლად დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს თითო-თითო პროფესიულ მასწავლებელთან(ერთკაციანი პროგრამები));
- „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში შეტანის პროცედურის წესის“ თანახმად, სასწავლო გეგმა ყველა პროგრამისთვის უნდა შეიქმნას იმგვარად, რომ წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს ორკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა, ან ცვლილება შევიდეს წესში და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო გეგმასთან;
- მოდულში მიეთითოს მოდულის განხორციელების ადგილი და აუდიტორია, როგორც ეს გაწერილია „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესში“, ან შევიდეს ცვლილება წესში რომ შესაბამისობაში მოვიდეს მოდულებთან;
- მოხდეს მოდულების ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ორგანიზების ნაწილში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- სასურველია წინსმწრებ და მომდევნო მოდულებს შორის ინტერვალი შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯის რეგულაციასთან „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი“
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვის“ სასწავლო გეგმაში პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა (დამოუკიდებელი საათების ჩათვლით) შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯის მიერ შემუშავებულ რეგულაციასთან „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი“;

**ქვესტანდარტი 2.3**

- გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურაში.

**ქვესტანდარტი 2.9**

- კოლეჯი „თეთნულდის“ 2019 წლის სამოქმედო გეგმაში გაიწეროს სტრატეგიული მიზნის შესრულებისთვის საჭირო რესურსი;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები განთავსდეს დაწესებულების ვებგვრდზე;

**ქვესტანდარტი 3.3**

- წარმოდგენილი პროგრამებისთვის საჭირო ყველა პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებული იქნება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პირობები არა მხოლოდ უქმე დღეებში შესრულებულ სამუშაოზე, არამედ კვირის განმავლობაში 40 საათზე მეტი სამუშაოს შესრულებაზეც.
- ხელშეკრულების 3.4 პუნქტიდან ამოღებული იქნება ჩანაწერი „განკარგულება“, ვინაიდან ასეთ შიდა სამართლებრივ აქტს საერთოდ არ იღებს კოლეჯი;
- შრომითი ხელშეკრულების მე-7 პუნქტში მოხდება ტექნიკური უზუსტობის გასწორება, კერძოდ, შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტის საფუძვლად არ უნდა იყოს მითითებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ვინაიდან აღნიშნული სამართლებრივი აქტის მოქმედება კოლეჯის ადამიანურ რესურსზე არ ვცელდება;
- შრომით ხელშეკრულებებში მიეითოს პროგრამის/მოდულისდასახელება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- შრომით ხელშეკრულებებში/დანიშვნის აქტებში „მასწავლებლის“ და /ან „პედაგოგის“ ნაცვლად ჩაიწეროს „პროფესიული განათლების მასწავლებელი“.
- სასურველია ხელშეკრულებებში მიეთითოს სამუშაოს შესრულების ადგილი. თუმცა კოლეჯის რეგულაციით, ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დაწესებულების „შინაგანაწესი“, სადაც მითითებულია სამუშაოს შესრულების ადგილი.

რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა გადამოწმდა ვიზიტის მიმდინარეობისას. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წამომაგდენლებს. აღსანიშნავია რომ დაწესებულების მხრიდან მოხდა გათვალისწინება რეკომენდაციების.

ქვესტანდარტ(ებ)ი 1.1; 2.3; 2.9 და 3.3 - ს შესაბამისად გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი - **შესრულებულია** - კერძოდ: დაწესებულებას ბრძანებით ჰყავს დანიშნული პროგრამის ხელმძღვანელები; პროგრამების მდგრადობის მიზნით განმახორციელებელი პედაგოგების რაოდენობა პროგრამების შესაბამისად ერთზე მეტია; მოდულებში მოდულის განხორცილებეის ადგილი მითითებულია; საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურაში ტექნიკური უზუსტობები გასწორებულია; სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში *(2018 წლის)* განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე(http://tetnuldi.edu.ge/about-college__trashed/normative-acts/; შრომით ხელშეკრულებაში ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პირობები არა მხოლოდ უქმე დღეებში შესრულებულ სამუშაოზე, არამედ კვირის განმავლობაში 40 საათზე მეტი სამუშაოს შესრულებაზეც - გათვალისწინებულია; შრომით ხელშეკრულებაში პროგრამების / მოდულების დასახელება მითითებულია; გამოყენებულია ტერმინი პროფესიული განათლების მასწავლებელი ნაცვლად პედაგოგისა / მასწავლებლისა; ხელშეკრულების მე-7 პუნქტში ტექნიკური უზუსტობა „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის“ საფუძვლად მითითება - გასწორებულია.

***<u>გათვალისწინებული არ არის შემდეგი რეკომენდაციები:</u>***

- წინა ვიზიტის დროს გაცემული ერთ ერთი რეკომენდაციის თანახმად ხელშეკრულებაში სასურველია გაჩენილიყო სამუშაოს შესრულების ადგილი, თუმცა კოლეჯის რეგულაციით, ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წამოადგენს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- დაწესებულების შინაგანაწესი, სადაც მითითებულია სამუშაოს შესრულების ადგილი - ***<u>არსებული ჩანაწერი ახალ ხელშეკრულებებშიც რჩება.</u>***
- **ხელშეკრულების 3.4** პუნქტიდან ამოღებული იქნება ჩანაწერი „განკარგულება“, ვინაიდან ასეთ შიდა სამართლებრივ აქტს საერთოდ არ იღებს კოლეჯი - ***<u>არა არის გათვალისწინებული და გვხვდება ახალ ხელშეკრუებებშიც - (მუხლი 3 – 3.3 ქვეპუნტი);</u>***
- რეკომენდაცია „წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს ორკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა“ - მარეგულირებელი წესის თანახმად რეკომენდაცია გათვალისწინებულია თუმცა მაინც რჩება გარკვეული სახის უზუსტობები რასთან დაკავშირებითაც მიმდინარე ვიზიტის დროსაც გაიცა რეკომენდაცია რომ **დაწესებულებამ აღმოფხვრას „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“, დამატებით შეფასებასთან დაკავშირებული უზუსტობები.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

## VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

ხარვეზები არ გამოვლენილა.

## VII. რეკომენდაციების შეჯამება

### შესაბამისობის რეკომენდაცია:

### ინდიკატორი 2.2.1.1

*დაწესებულებამ პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ დამატების განაცხადდთან ერთად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, წარმოადგინ გაუმჯობესების გეგმა, მატერიალურ რესურსი იმ ნაწილის შესყიდვასთან დაკავშირებით რომლის შეძენასაც გეგმავს აგვისტოში და რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ იქნა შესყიდული. დაწესებულების მხრიდან ეს ფასდება როგორც მეტწილი შესაბამისობა. რადგან სასწავლო პროცესის დაწყების სავარაუდო დრო არის ოქტომბერი, დაწესებულება შეძლებს მითითებული აღჭურვილობების შესყიდვას და პროგრამის განხორციელებას სრულყოფილად. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ აღნიშნული ინდიკატორი მეტწილად შესაბამისია.*

### განმავითარებელი რეკომენდაცია:

### ინდიკატორი 2.1.1.4

- *საგანმანთლებლო პროგრამის მოდულებში დაამატოს სხვადასხვა ინტერნეტ რესურსი, მათ შორის სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო რესურსი, ასევე შშმ პირებისთვის აუდიო სასწავლო რესურსი, რომელიც განთავსებულია საიტზე www.vet.ge.*

### ინდიკატორი 2.1.1.1

- *პრაქტიკის ობიექტზე ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ გაიცა რეკომენდაცია რომ სასურველია 4 (ოთხი) პროფესიული სტუდენტი (ხელშეკრულების თანახმად) ჩანაცვლდეს 2(ორი) პროფესიული სტუდენტით რადგან სამზარეულო 4 ოთხი სტუდენტისთვის არაა საკმარისი სიდიდის.*
- *ინსტრუქტორების შერჩევის შემდეგ მოხდეს მათი დატრენინგება და პროგრამის უფრო სიღრმისეული გაცნობა სასწავლო გეგმასთან და სწავლის შედეგებთან ერთად.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ინდიკატორი 2.2.1.4

- *პროგრამის ხელმძღვანელისთვის შეიმუშაოს თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა, სადაც უფრო დეტალურად იქნება გაწერილი მისი ფუნქცია-მოვალეობები, საჭირო უნარები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.*

ინდიკატორი 2.3.1.1

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კონტექსტში გამოიყენოს კურსდამთავრებულთა დასაქმების, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი და გაწეროს შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში.*

ინდიკატორი 2.4.1.3

- *ადაპტირდეს მოდულები დუალური მიდგომით განხორციელების შემთხვევაშიც, მსგავსად მოდულური მიდგომისა, სწავლებისა და შეფასების ნაწილში, იმ სწავლის შედეგებისათვის, რომელიც გატანილი არის პრაქტიკის ობიექტზე სასწავლო გეგმის შესაბამისად.*

ინდიკატორი 2.4.2.1

- *შესაბამისობაში მოიყვანოს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-3 და მე-10 მუხლებით განსაზღვრული პირობები შეფასების ინსტრუმენტის შექმნაზე და შერჩევაზე პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირებით.*
- *დააზუსტოს და შესაბამისობაში მოიყვანოს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-9 მუხლით და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლით განსაზღვრული პირობები და ვადები პროფესიულ სტუდენტთა დამატებით შეფასებასთან დაკავშირებით. ასევე სასურველია მიეთითოს განმეორებით გამოცდაზე გამოყენებული ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაცია და ნამუშევრის გასწორების ვადები.*
- *დააზუსტოს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ჩანაწერი სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით.*
- *რეგულაციებში გაწეროს დუალური და ინტეგრირებული პროგრამების შეფასების სისტემის შესახებ.*

ინდიკატორი 2.4.2.2

- *დახვეწოს ვერიფიკაციის და ვალიდაციის მექანიზმები - წინასწარი შეფასების საფუძველზე განისაზღვროს ვერიფიკატორის სამუშაოს მოცულობა, არსებული რესურსები და ამის გათვალისწინებით დადგინდეს რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი; რისკების ანალიზის საფუძველზე შეირჩეს ის ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, რომელთა ვერიფიკაციაც*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

*აუცილებელია; მნიშვნელოვანია დეტალურად გაიწეროს შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.*

### ინდიკატორი 2.4.2.4

- *რეგულაციაში ასახოს განმავითარებელი შეფასების ჩატარების და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების ფორმა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

## VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კულინარიის ხელოვნება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | ბრძანება N02/18 04/05/2020 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. მესტია, ე.ფარჯიანის ქ.N25 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური / დუალური) | მოდულური და  დუალური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 50 პროფესიული სტუდენტი, აქედან მოდულური მიდგომით 30 პროფესიული სტუდენტი, ქ.მესტია, ე.ფარჯიანის N25; დუალური მიდგომით - 20 პროფესიული სტუდენტი |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*. | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 80 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 95 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

## VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **შეესაბამება** | **მეტწილად შეესაბამება** | **ნაწილობრივ შეესაბამება** | **არ შეესაბამება** |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.კოლეჯი თეთნულდი არის განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა მაღალმთიანი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე მოამზადოს სამეწარმეო და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი სპეციალისტები და ამით ხელი შეუწყოს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას. 2011 წლიდან დაწესებულება ახორციელებს ტურიზმის მიმართულებით (მათ შორის მზარეული) საგნამანათლებლო პროგრამებს. აღსანიშნავია რომ პროგრამაზე მოთხოვნა მზარდია, რეგიონში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების შესაბამისად, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო პროგრამ(ებ)ის პოპულარიზაციას, რაც თვალსაჩინო ხდება კურსდამთავრებულთა სტატისტიკურ მაჩვენებლების შესწავლისას.
სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “კულინარიის ხელოვნება“ განხორციელების დასაბუთება ითვალისწინებს რეგიონის განვითარების გეგმის მოთხოვნებსა და კოლეჯის რესურსების შესაბამისობას. კოლეჯის სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმების შესწავლით დადგინდა, რომ ისინი ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების განსაზღვრას და განხორციელებას. შესაბამისად, წარმოდგენილი **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება” განხორციელება ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას და დაწესებულების მისიას.**

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან**.

3. **პროგრამაზე კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეესაბამება კოლეჯის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას,** რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და კოლეჯის რესურსებს.
სსიპ კოლეჯ ,,თეთნულდის“ დირექტორის მიერ 2020 წლის 8 აპრილის N02/04 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგიის მიხედვით დაწესებულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

ა) A და B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

ბ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დუალური სწავლების შემთხვევაში);

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;

დ) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი.

მეთოდოლოგიაში ასევე აღნიშნულია, რომ ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს „კულინარიის ხელოვნება“ პროგრამაზე მოთხოვნილი კვოტის განსაზღვრის დოკუმენტი 50 პროფესიულ სტუდენტზე, რომლის მიხედვითაც კოლეჯს გამოყოფილი აქვს 25 პროფესიული სტუდენტისთვის(15 მოდულური მიდგომით და 10 დუალური მიდგომით) საჭირო მატერიალური რესურსით აღჭურვილი ორი თეორიული სწავლების ოთახი (A გარემო), ერთი B გარემო და ერთი C გარემო. კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია, რომ დაწესებულება მუშაობს ორ ცვლაში და შესაძლებელია ორი ჯგუფის სწავლება ერთდროულად.

4. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები და დასტურდება** რომ პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება, თუმცა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო რესურსი მწირია, მათ შორის  რიგ შემთხვევაში არ არის გამოყენებული პროგრამისთვის/მოდულისთვის  სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო რესურსიც. ასევე, რიგ მოდულებში ექსპერტებმა დააფიქსირეს შეუსაბამობები:

- „უცხოური ენის“ და „ქართული ენა -B2“-ის  მოდულების სასწავლო რესურსი ვერ უზრუნველყოფდა მოდულებით გათვალისწინებული კომპეტენციის განვითარებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2020 წლის 6 ივნისის N02/26 ბრძანება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების შესახებ“, რომლის მიხედვითაც ზემოაღნიშნულ მოდულებში დაამატა შესაბამისი სასწავლო რესურსი.

**<u>რეკომენდაცია: დაწესებულებამ საგანმანთლებლო პროგრამის მოდულებში დაამატოს სხვადასხვა ინტერნეტ რესურსი, მათ შორის სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო რესურსი, ასევე შშმ პირებისთვის აუდიო სასწავლო რესურსი, რომელიც განთავსებულია საიტზე vet.ge</u>**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კულინარიის ხელოვნება“ **არჩევითი მოდული არ აქვს.**

6. საგანმანათლებლო **პროგრამა დამტკიცებულია 2020 წლის 4 მაისს დაწესებულების კოლეჯის დირექტორის ბრძანებით** N02/18, რომლის უფლებამოსილება დასტურდება დოკუმენტის ,,სსიპ - კოლეჯის „თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის“ მეოთხე მუხლის ,,პროგრამის დამტკიცება“ მეოთხე პუნქტის შესაბამისად.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „კულინარიის ხელოვნება“, რომელიც ოპტიმიზირებული ჩარჩო დოკუმენტის „სასტუმრო,რესტორანი, კვება“ ერთ-ერთი კონცენტრაციის სახელია და ამიტომ **სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. **საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - „სასტუმრო, რესტორანი, კვება“, საფუძველზე.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მისანიჭებელი კვლიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლის მეთოდები და შეფასების მიმართულებები და შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების მიხედვით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დაწესებულების მისია http://tetnuldi.edu.ge/
- სტრატეგიული გეგმა (http://tetnuldi.edu.ge/about-college__trashed/normative-acts/)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- „სსიპ – კოლეჯის „თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“, დამტკიცებული 2020 წლის 15 აპრილს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N02/09;
- ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, დამტკიცებული 2020 წლის 8 აპრილს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N02/04 ;
- 2020 წლის 4 მაისის დაწესებულების კოლეჯის დირექტორის ბრძანება N02/18 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ დამტკიცების შესახებ;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დირექტორის 2020 წლის 6 ივნისის N02/26 ბრძანება - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების შესახებ“;
- სსიპ კოლეჯის დირექტორის 13/04/2020 წლის N02/07 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი;
- გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 8 აპრილის N02/04 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის წესი“. ვიზიტისას კოლეჯმა წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსის,, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი, რომლის ნაწილი ექსპერტების მიერ შემოწმდა დაწესებულებაში ვიზიტის დროს,ხოლო ნაწილთან დაკავშირებით. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა შესყიდვებთან დაკავშირებული შესაბამისი ინვოისები და გაუმჯობესების გეგმა. **აღნიშნული საკითხი შეფასებულია როგორც მეტწილი შესაბამისობა, გაუმჯობესების გეგმის მიხედვით დაწესებულება გეგმავს მატერიალური რესურსების შესყიდვის დასრულებას ა.წ. აგვისტოში, ხოლო სასწავლო პროცესის დაწყების სავარაუდოდ დრო არის ოქტომბერი, შესაბამისად, დაწესებულება დანამდვილებით უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

<u>შეუფერხებელ სწავლებას.</u> დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული A/B/C გარემო, რომლის აღჭურვასაც გეგმავს სათანადო ინვენტარით და მატერიალურ ტექნიკური ბაზით.

დაწესებულება გეგმავს პროგრამის ორი მიდგომით განხორციელებას მოდულური და დუალური. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული ზღვრული რაოდენობა შეადგენს ორივე მიდგომისათვის 50 პროფესიულ სტუდენტს, ამათგან 20 პროფესიული სტუდენტი დუალური მიდგომით განხორციელებული პროგრამისათვის - ორ მიღებაზე, თითოეული მიღებისათვის ჯგუფი დაკომპლექტდება 10 პროფესიული სტუდენტით და 30 პროფესიული სტუდენტი მოდულური სასწავლო გეგმით, რის ფარგლებში იგულისხმება რომ სწავლა განხორციელდება ორ ცვლაში და თითოეული ჯგუფი დაკომპლექტდება 15 პროფესიული სტუდენტით (დაწესებულების მიერ გაკეთებული განაცხდის თანახმად რომელიც იქნა გამოგზავნილი განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში).

პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ სწავლების ხანგრძლივობა მოდულური სწავლების შემთხვევაში არის 60 კვირა, ხოლო დუალური მიდგომით სასწავლო გეგმის თანახმად სწავლის ხანგრძლივობა არის 80 კვირა (ორი წელი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სასწავლო გეგმა ორივე მიდგომით და ასევე ის პროგრამაც (კონდიტერია) რომელიც მოცემული C გარემოთი იქნება უზრუნველყოფილი. ოთხი ჯგუფის გამტარიანობა ერთი C გარემოსათვის შეუძლებელი იქნებოდა რაც ექსპერტთა გუნდმა გააცნო ვიზიტის დროს დაწესებულების დირექტორს და მასთან ინტერვიურებით დადასტურდა რომ განაცხადში გაკეთებული მოთხოვნა 30 პროფესიული სტუდენტი მოდულური სწავლებისათვის იგულისხმება ორ მიღებაზე და არა ორ ცვლაში, გამომდინარე აქედან, მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაწესებულება აპირებს მიიღოს ორი ჯგუფი (ერთი მოდულური და ერთი დუალური სასწავლო გემით) კულინარიის ხელოვნების პროგრამაზე.

მოდულური მიდგომით განხორციელების შემთხვევაში პროგრამა მხოლოდ ერთი მოდულის ფარგლებში *<u>(„სასტუმრო, რესტორანი, კვება“ - ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს ჩარჩოს ქვეშ გაერთიანებული პროგრამებისათვი (სასტუმრო მომსახურება, სარესტორნო მომსახურება, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია), საერთო დარგობრივ მოდულებს, მათ შორის არის საერთო დარგობრივი მოდული - „სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“. წარმოდგენილი მოდულის შედეგების მიღწევა ხდება პარტნიორ ორგანიზაციასთან - სასტუმრო „“ფოსტა“-თან ერთად, სადაც მოდულის სამი შედეგი მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე მოდულის განმახორციელებელ პედაგოგთან ერთად</u>*) ითვალისწინებს პრაქტიკული ობიექტების არსებობას და სხვა ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა დაწესებულების ბაზაზე არსებულ C სასწავლო გარემოში, პროფესიული სტუდენტების, პრაქტიკის ობიექტზე, სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროცესის წარმართვა მოხდება წინასწარი შეთანხმებით გაწერილი ცხრილის შესაბამისად, ხოლო დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების შემთხვევაში დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული სამ ორგანიზაციასთან, სადაც მოხდება 51%-ზე მეტი სწავლის შედეგების მიღწევა. ხელშეკრლების თანახმად საგანმანათლებლო დაწესებულება და პარტნიორი ორგანიზაცია თანხმედებიან რომ: პრაქტიკის ობიექტზე გამოყოფილი იქნება შესაბამისი კომპეტენციის მქონე ინსტქრუტორი, რომელიც უხელმძღვანელებს სასწავლო პროცესს კოლეჯის წარმომადგენლებთან ერთად, ასევე ხელშეკრულებას აქვს დანართი იმ საგანამანთლებლო აღჭურვილობისა რომელიც აუცილებელია სწავლის შედეგების მისაღწევად, ექსპერტების ვიზიტის შედეგად გადამოწმდა პროგრამის თანდართული აღჭურვილობის დანართი და დასტურდება რომ პრაქტიკის ობიექტები სრულადაა აღჭურვილი საგანმანათლებლო რესურსებით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება პრაქტიკის პერიოდში სტუდენტებისათვის, ამავე ხელშეკრულების თანახმად, თითოეული პრაქტიკის ობიექტი მზადაა მიიღოს მაქსიმუმ 4 პროფესიული სტუდენტი პროგრამის ფარგლებში.

პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ორგანიზაციების წარმომადგენლებს (პოტენციური ინსტრუქტორები) და მათთან გასაუბრებით დაზუსტდა რომ იცნობენ დუალურ პროგრამას და გამოთქვამენ მზაობას თანამშრომლობაზე, ასევე შემოწმდა სამზარეულო რითაც დასტურდება რომ სწავლის შედეგები მიღწევადია წარმოდგენილ ობიექტებზე, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც რომ ერთ-ერთი პრაქტიკის ობიექტის „ლუშნუ ქორ“ შემთხვევაში **სასურველია 4 (ოთხი) პროფესიული სტუდენტის (ხელშეკრულების თანახმად) ჩანაცვლდეს 2(ორი) პროფესიული სტუდენტით რადგან სამზარეულო 4 (ოთხი) სტუდენტისთვის არაა საკმარისი სიდიდის.**

**პსდ წარმომადგენლებს, ექსპერტებმა ვიზიტის დასრულების შემდეგ, გაუზიარეს მიგნებები რომ კვოტის გადანაწილებისას გაითვალისწინონ ექსპერტთა მოსაზრებები და ასევე ინსტრუქტორების შერჩევის შემდეგ მოხდეს მათი დატრენინგება და პროგრამის უფრო სიღრმისეული გაცნობა სასწავლო გეგმასთან და სწავლის შედეგებთან ერთად.**

2. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 4 (ოთხი) პროფესიული მასწავლებელი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა, მათი შესაბამისობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობასთან და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და მათზე დაკისრებული ფუნქცია - მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, რითაც **დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა.** მათი საკონტაქტო საათების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის სასწავლო გეგმის მიხედვით ორი ჯგუფის მიღების შემთხვევაში კვირაში არ აღემატება 40 საათს.

3. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები. **პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის კვალიფიკაცია და მათი სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება პროგრამის განხორციელების სპეციფიკას.** პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აღჭურვილი არიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით, აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პროფესიული/პედაგოგიური გამოცდილებით და გავლილი ტრენინგებით.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას „კულინარიის ხელოვნება“ ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი**, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმითა და ინტერვიუთი. იგი დანიშნულია დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 04 მაისის №02.19 ბრძანებით და მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამაში.დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/09 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის“ მე-5 მუხლი განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელის როლს და ფუნქციებს, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კოორდინაციას, განხორციელების ხელშეწყობას, განვითარებას და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანას. აღნიშნული მუხლის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლის კვალიფიკაცია და სწავლების გამოცდილება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და შედეგებს. **აღსანიშნავია, რომ ცალკე თანამდებობრივი ინსტრუქციები/სამუშაოს აღწერილობა ან ფუნქცია მოვალეობები არ არის გაწერილი**

***რეკომენდაცია: პროგრამის ხელმძღვანელისთვის შეიმუშავდეს თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა, სადაც უფრო დეტალურად იქნება გაწერილი მისი ფუნქცია-მოვალეობები, საჭირო უნარები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.***

5. დაწესებულებაში ვიზიტისას შემოწმდა ბიბლიოთეკა და საგანამანათლებლო რესურსები, რომელიც მითითებული იყო თავდაპირველ გამოგზავნილ მოდულებში. **„კულინარიის ხელოვნება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Erase Free

**მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (ელ. წიგნები) პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში,** ელექტრონული სახით (ჩაწერილია ელ.მატარებელზე რამდენიემ ასლად თითოეული), აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას აქვს გაცილებით მეტი საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში, ვიდრე წარმოდგენილი იყო მოდულებში რის შესახებაც მიეცად რეკომენდაცია, არსებული ლიტერატურის გამოყენებისათვის. დაწესებულება ასევე იყენებს ელექტრონულ კატალოგს (OPAC). ექსპერტთა მიერ შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული ლიტერატურა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკის ფონდში დაამატა „უცხოური ენის“ და „ქართული ენა -B2“-ის მოდულების ელექტრონული სასწავლო რესურსი.

პსდ-ს აქვს 2020 წლის 16 აპრილის N 02/10 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. კოლეჯში ინახება წიგნადი ფონდის აღრიცხვის საინვენტარო წიგნი, წიგნადი ფონდი დამუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად.

6. დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/08 ბრძანებით დამტკიცებულია **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის 16-ე მუხლი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს** როგორც სსსმ ან/და შშმ პირებისთვის, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის. ამავე წესის 17-ე მუხლით განსაზღვრულია „სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“, რომლის მიხედვითაც „კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას“. ასევე, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდაჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

კოლეჯი მოწყობილია გარე პანდუსით და აღჭურვილია ლიფტით, შესაბამისად კოლეჯის ტერიტორიაზე შშმ პირს აქვს შეუზღუდავი გადაადგილების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ ისინი იცნობენ სსსმ პირებისთვის სწავლების თავისებურებებს და აქვთ მზაობა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს როგორც მათი მხარდაჭერა, ასისტირება, ასევე, სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების კონკრეტული მოთხოვნილებების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

7. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ ფინანსურად მდგრადია,** რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულებამ წარმოადგინა **პროგრამისთვის შედგენილი ბიუჯეტი.** ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები.ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების, სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებისა და პროგრამის ამორტიზაციის ხარჯებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“/მოდულები/ საგანმანათლებლო აღჭურვილობა/პროგრამის განმახორციელებელი პედაგოგები
- ,,სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის წესი“, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,თეთნულდის“ დირექტორის 2020 წლის 8 აპრილის N02/04 ბრძანებით;
- სსიპ - კოლეჯის ,,თეთნულდი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,თეთნულდის“ დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/08 ბრძანებით;
- სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,თეთნულდის“ დირექტორის 2020 წლის 16 აპრილის N 02/10 ბრძანებით;
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროფესიული პროგრამის მასწავლებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- გასაუბრება;
- ფაქტობრივი გარემოება.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვისა და მათი განვითარების მიზნით სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ **დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის №02/14 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსიპ-კოლეჯის ,,თეთნულდი“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელშიც გაწერილია ხარისხის მართვის პროცესი დემინგის ციკლი „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მიხედვით**. მასში გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურეობის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან უკუკავშირი, ასევე სხვა სახის ინფორმაციის წყაროებზე დაყრდნობით, გაწეული მომსახურეობის, მათ შორის სწავლა-სწავლების და სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის მონიტორინგი და შეფასება. ასევე, დირექტორის 2020 წლის 13 აპრილის №02/06 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსიპ-კოლეჯის ,,თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა”. რომელიც ითვალისწინებს პროგრამების განხორციელების შეფასებას სტუდენტთა, დამსაქმებელთა, მასწავლებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების საშუალებით. გამოკითხვების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, რომელიც პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების შემდგომში სრულყოფის საფუძველი იქნება. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარუდგინეს სტუდენტთა, დამსაქმებელთა, მასწავლებელთა და კურსდამთავრებულთა კითხვარების ფორმები. ინტერვიუირების დროს დაწესებულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი პერიოდულად ახდენენ სასწავლო პროცესის მონიტორინგს და ესწრებიან ლექციებს მიმდინარეობის პროცესს, რის შედეგადაც ახდენენ შედეგების ანალიზს, რის საფუძველზე მოახდენენ პრობლემის იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც შეიმუშავებენ განვითარების გეგმას და რეკომენდაციებს. დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/15 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომლის თანახმად, პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

ექსპერტთა მოსაზრებით მნიშვნელოვანია დაწესებულებას პროგრამების განვითარების კონტექსტში ერთერთ მთავარ ორიენტირად გათვალისწინებული ჰქონდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი, რაც სასურველია უფრო დეტალურად გაიწეროს სსიპ-კოლეჯის ,,თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემაში.

**რეკომენდაცია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კონტექსტში გამოიყენოს კურსდამთავრებულთა დასაქმების, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი და გაწეროს შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში.**

2. **დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანის წესები და პროცედურები.** იგი გაწერილია ,,სსიპ - კოლეჯის „თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესში, რომელიც დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის №02/09 ბრძანებით. მასში ასახულია პროგრამის ცვლილების საფუძველი, პროცესი, ინიციატორი და ცვლილებების დამტკიცების წესი მის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი, კოლეჯის შემთხვევაში დირექტორი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/14 ბრძანება „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- დირექტორის 2020 წლის 13 აპრილის N02/06 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“;
- დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/15 ბრძანება „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“;
- დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/09 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“;
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან / სასწავლო საწარმოსთან / თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო / სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **კოლეჯის მიერ წარმოდგენილია სასწავლო გეგმ(ები)ა, (როგორც მოდულური ასევე დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების შემთხვევაში), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კულინარიის ხელოვნება“,** სადაც მოდულების სწავლების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა განსაზღვრული. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ „კულინარიის ხელოვნება“ პროგრამის სასწავლო გეგმის და საათების განაწილების შესაბამისად შემუშავდება გაკვეთილების განრიგი - ცხრილი ცალკ - ცალკე თითოეული მიდგომისთვის, სადაც დუალური სასწავლო გეგმისათვის ასევე გათვალისწინებული იქნება საათობრივი დატვირთვა პარტნიორ ორგანიზაციებში. სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა.
2. სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 15/04 /2020 წლის N02/08 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ - კოლეჯის ,,თეთნულდი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში განსაზღვრულია **პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები,** პროფესიული სტუდენტის / მსმენელის შეფასების / შედეგის დადასტურების გასაჩივრების პროცედურები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის პროცედურები, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.
3. **„კულინარიის ხელოვნება“ საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს.** დაწესებულებას მოდულური მიდგომით პროგრამის განხორციელებისათვის აქვს ადაპტირებული მოდულები, მათ შორის, სწავლებისა და შეფასების ნაწილში, თუმცა დუალური მიდგომით განხორციელების შესახებ ინფორმაცია ამავე ნაწილში არაა დეტალურად გაწერილი. ხარისხზე პასუხისმგებელ პირს მიეცა რეკომენდაცია მოახდინოს ადაპტირება მოდულების ამ მიმართულებითაც და შეძლებისდაგვარად გაწეროს სწავლებისა და შეფასების მეთოდები დუალური მიდგომით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
განხორციელების შემთხვევაში იმ სწავლის შედეგებისათვის, რომელიც გატანილი არის პრაქტიკის ობიექტზე სასწავლო გეგმის შესაბამისად.

დაწესებულებაში ექსპერტების ვიზიტისას შემოწმდა C სასწავლო გარემოს უკვე არსებული მატერიალური აღჭურვილობა და დასტურდება რომ არსებული რესურსი რომელიც დაწესებულებაში იყო ვიზიტის დროს არის დარგის თანამედროვე ტექნოლოგიები და მისი გამოყენება სასწავლო პროცესში გამოყენებადია სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების შესაბამისად. ასევე დანართის სახით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომლის შეძენაც გაუმჯობესების გეგმის თანახმად დასრულებული იქნება მიმდინარე წლის აგვისტოსათვის და სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაწესებულება უზრუნველყოფილი იქნება C სასწავლო გარემოს სრული აღჭურვილობით (პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ შედეგების მიღწევადობის ფარგლებში). გარდა ამისა დუალური მიდგომით განხორციელებული პროგრამის შემთხვევაში საგანმანთლებლო პროგრამის დიდი ნაწილი (პრაქტიკული კომპონენტი) გასულია პრაქტიკის ობიექტებზე, სადაც ექსპერტებს ვიზიტისას დახვდათ თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი სამზარეულო, რაც ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენრებისათვის სწავლების პროცესში.

თავის მხრივ პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულება გეგმავს მათ გადამზადებას სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე. აღნიშნული ტრენინგები ჩატარდება როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე კოლეჯის ხარისხის უზრუნვეყოფის ჯგუფის მიერ.

- ***<u>რეკომენდაცია:</u>*** **ადაპტირდეს მოდულები დუალური მიდგომით განხორციელების შემთხვევაშიც, მსგავსად მოდულური მიდგომისა, სწავლებისა და შეფასების ნაწილში, *<u>იმ სწავლის შედეგებისათვის, რომელიც გატანილი არის პრაქტიკის ობიექტზე სასწავლო გეგმის შესაბამისად.</u>***

4. **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 16-ე მუხლი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, რომელიც მორგებულია სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე.** წესის მიხედვით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება შესაძლებელია დადგეს თუ: მობილობით გადმოსულ პირს დადასტურებული აქვს განსხვავებული სწავლის შედეგები, პირს შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პირი დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

წარმოიშვა განხორციელდა პროგრამის შეცვლა / გაუქმება და საჭირო პროფესიული სტუდენტებისთვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე.

ხარისხზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დასტურდება რომ „კულინარიის ხელოვნება“ პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ***<u>იქნება გათვალისწინებული პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;</u>***

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ დაწესებულების მიერ განხორციელებული იქნება ორი მიდგომით დუალური და მოდულური. **დუალურის შემთხვევაში დაწესბულება თანამშრომლობს სამ პრაქტიკის ორგანიზაციასთან**: დუალური მიდგომით განხორციელების შემთხვევაში 50 % ზე მეტი სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორ ორგანიზაციებში მისამართებზე: რესტორანი „შალე მესტია“ ბეთლემის ქუჩა N47; „სასტუმრო ფოსტა“ დაბა მესტია, ცენტრი; „ლუშნუ ქორ“ - დ.მესტია თამარ მეფის ქ. N44, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით, ხოლო მოდულური მიდგომით განხორციელებული პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთი მოდულის (საერთო დარგობრივი მოდული - „სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“) სამი სწავლის შედეგის მიღწევა იგეგმება პრაქტიკის ობიექტზე (სასტუმრო „ფოსტა“), რომელიც ასევე დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით, რის თანახმადაც მხარეები თანხმდებიან რომ პროფესიული სტუდენტები შეძლებენ პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსების გამოყენებას სწავლის შედეგების შესაბამისად და ასევე საჭირო მასალა ნედლეული იქნება ხელმისაწვდომი პრაქტიკული სწავლების დროს უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე. პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტების საქმიანობას დააკვირდება და კურირებას გაუწევს სასწავლო პროცესს სასტუმროს შესაბამისი განყოფილების წარმომადგენელი / თანამშრომელი, პროფესიული განათლების პედაგოგთან ერთად. ხელშეკრულებაში გაწერილია ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესახებ, რომლის თანახმადაც, კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს ერთსა და იმავე სასწავლო პერიოდში მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტის სწავლების ხელშეწყობა, მათ შორის, ერთსა და იმავე დღეს არაუმეტეს 6 პროფესიული სტუდენტისა. მიმდინარე მოდულის ფარგლებში სწავლის შედეგების დადასტურება მოხდება როგორც პრაქტიკული კომპონენტის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

შეფასებით, ასევე თეორიული გამოკითხვის მეთოდითაც, პროფესიული განათლების პედაგოგის და პრაქტიკის ობიექტიდან ინსტრიქტორის ჩართულობით.

6. **უსაფრთხო სწავლება უზრუნველყოფილი იქნება, სასწავლო პროცესში საგანამანათლებლო დაწესებულებაში და ასევე პრაქტიკის ობიექტებზე**, სადაც იგეგმება მოდულის „სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“ სამი სწავლის შედეგის მიღწევა და დუალური მიდგომით განხორციელებული პროგრამის 51% ზე მეტი სწავლის შედეგების მიღწევა. უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად პრაქტიკული მეცადინეობის დაწყების წინ პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი. სწავლების პროცესში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მასწავლებელს. პროფესიული მოდულების მასწავლებლები პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში, საჭიროებიდან გამომდინარე, ჩაატარებენ ინსტრუქტაჟს, რაც ამ ეტაპზე ვერ დასტურდებოდა შესაბამისი მტკიცებულებით. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს გარემო (როგორც კოლეჯში ასევე პრაქტიკის ობიექტზე) და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს.

<u>სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ სასწავლო გეგმა,მოდულები;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 15/04 /2020 წლის N02/08 ბრძანებით;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება სასტუმრო ფოსტასთან;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/15 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომლის მე-3 მუხლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი/ები მოდულის ადაპტირებისას შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს. ხოლო 10-ე მუხლის მიხედვით შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს). დაწესებულების განმარტებით მოდულების ადაპტირების დროს პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად არჩევს შეფასების მეთოდს, ხოლო უშუალოდ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი სწავლის შედეგის/შედეგების შეფასებამდე.

აღნიშნული წესის მე-4 მუხლის მიხედვით შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა. ამავე წესის მე-5 მუხლის მიხედვით, სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით იკრიბება მუდმივმოქმედი კომისია. კომისია იკრიბება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ჯგუფის მიერ კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის/დამატებითი სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურების დასრულებისას, ამ წესით განსაზღვრული პირობების მონიტორინგის მიზნით. დაწესებულების განმარტებით აღნიშნული  კომისიის მიზანია შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროცესის მონიტორინგი „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-9 მუხლის მიხედვით, „განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს წერილობითი განცხადების საფუძველზე უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი (მაგ. სასწავლო და საწარმოო პროცესის მენეჯერი, ან სხვა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით, უფლებამოსილნი არის განსაზღვროს დამატებითი (განმეორებითი) შეფასების ვადები.“ დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/08 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლით განსაზღვრულია, რომ განმეორებითი შეფასების მოთხოვნა სტუდენტს შეუძლია ერთხელ. ხოლო თუ მოდული სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობაა, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაადასტუროს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები. ამავე მარეგულირებელი წესის 10.10 პუნქტის მიხედვით - „მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდულის დასრულება) მოდულის განმახორციელებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს დირექციას და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება, სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, განმეორებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.“ დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით აღნიშნულ ჩანაწერში დაშვებულია შეცდომა და დამატებით შეფასებასთან დაკავშირებით კოლეჯი იყენებს შემდეგ მიდგომას: თუ მოდული სხვა მოდულის წინაპირობაა, ამ შემთხვევაში ამ მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის ვადაში უნდა დაინიშნოს დამატებითი გამოცდა, ხოლო თუ მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, სტუდენტს პროგრამის დასრულებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს სწავლის შედეგების დადასტურება. აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით მოდულის მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ დადასტურება ითვლება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და პროფესიულ სტუდენტს აღარ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით სტუდენტს დამატებით შეფასებაზე გასვლის უფლება არ აქვს. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ჩანაწერში დაშვებულია შეცდომა: „სწავლის შედეგის ვერ დადასტურების“ ნაცვლად მითითებული უნდა იყოს „დამატებით შეფასებაზე მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დადასტურება“. დაწესებულებას მარეგულირებელი წესის 13-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრული აქვს „პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების პროცედურა“, რომლის მიხედვითაც შედეგის გაცნობიდან 2 დღის ვადაში მიმართავს დირექტორს და ითხოვს შედეგების დადასტურების გადასინჯვას. გასაჩივრებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს სტუდენტის ნაშრომის განხილვას პროფესიული მასწავლებლის და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მონაწილეობით. პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია შეცვალოს შეფასება ან დატოვოს ძალაში. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი /მსმენელი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, მასთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით შესაძლოა შემფასებლად გამოყოფილი იქნას კოლეჯის შესაბამის დარგის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი, სხვა შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხარისხის მართვის მენეჯერი/კომისიის თავმჯდომარე კოლეჯის დირექტორს წარუდგენს სამსახურებრივ ბარათს პროფესიული სტუდენტის /მსმენელის შეფასების კორექტირების თაობაზე შესაბამის უწყისში.

საბოლოოდ, **დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემა, რომელიც აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი.** აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას კონკრეტულად არ აქვს გაწერილი დუალური და ინტეგრირებული პროგრამების შეფასების სისტემა.

**რეკომენდაცია: ზემოაღწერილ რეგულაციებში გაიწეროს დუალური და ინტეგრირებული პროგრამების შეფასების სისტემის შესახებ.**

2. **დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი,** რომელიც გაწერილია როგორც სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/08 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ - კოლეჯის ,,თეთნულდი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“, ასევე, სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/15 ბრძანებით დამტკიცებულ ,,პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში“. აღნიშული რეგულაციებში გაწერილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი შეესაბამება შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და იგი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, რაზეც როგორც ინტერვიუს ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერმა დაადასტურა თავად არის პასუხისმგებელი. რეგულაციებში გაწერილია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირები და დოკუმენტების მიხედვით აღწერილი პროცესი ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავს. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის დოკუმენტი შემუშავებულია, რითიც დაკმაყოფილებულია 2.4.2-ის მე-2 ინდიკატორის სრული შესაბამისობა, თუმცა სასურველია აღნიშნული დოკუმენტი დაიხვეწოს, წინასწარი შეფასების საფუძველზე განისაზღვროს ვერიფიკატორის სამუშაოს მოცულობა და არსებული რესურსები და ამის გათვალისწინებით დადგინდეს რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი, რისკების ანალიზის საფუძველზე შეირჩეს ის ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, რომელთა ვერიფიკაციაც აუცილებელია. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მასში დეტალურად გაიწეროს შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით** სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/15 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-13 მუხლის თანახმად.

4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/15 ბრძანებით დამტკიცებული **"პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის" მე-8 მუხლის მიხედვით სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით**. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, განმავითარებელი შეფასების გამოყენების ძირითადი მიზანი არის პროფესიული სტუდენტების შემდგომ განვითარებაზე ზრუნვა.

აღსანიშნავია, რომ განმავითარებელი შეფასების ჩატარების ფორმას/ინტენსივობას და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდებას რეგულაციებში გაწერილი არ არის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ‘კულინარიის ხელოვნება“ სასწავლო გეგმა,მოდულები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 15/04 /2020 წლის N02/08 ბრძანებით;
- ,,პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“, დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 22/04 /2020 წლის N02/15 ბრძანებით;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

## X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1 - ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2 - გაუმჯობესების გეგმა;

22/07/2020



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: